

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia  
Batumi Art State Teaching University

**სტუდენტთა საერთაშორისო**

**კონფერენცია**

20 ნოემბერი

**პროგრამა**

**International Student Conference**

20 November

**Program**

ბათუმი – 2020 – Batumi

# კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი

- |                   |   |
|-------------------|---|
| მაია ჭიჭილეიშვილი | - რექტორი, პროფესორი, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი                       |
| გელა ბერიძე       | - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე                                       |
| სოფიო თავაძე      | - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი |
| სალომე ჩიკაშუა    | - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების სპეციალისტი                         |
| აკაკი მუხაშავერია | - IT მენეჯერი   |

# კონფერენციის სამუშაო განრიგი

20 ნოემბერი

10.45-11.00 – მონაწილეთა რეგისტრაცია, კონფერენციის გახსნა

11.00-12.30 – სესია I

12.30-12.45 – შესვენება

12.45-14.15 – სესია II

14.15-15.00 – შესვენება

15.00-16.30 – სესია III

16.30-17.00 – კონფერენციის შეჯამება და დახურვა

## რეგლამენტი:

მომხსენებელთათვის - 15 წთ.

კამათში მონაწილეებისათვის - 5 წთ.

საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. № 19/32

[www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)

[info@batu.edu.ge](mailto:info@batu.edu.ge)

11.00-12.30 - სესია I

## სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა

მოდერატორი: რატი ჩიბურდანიძე, პროფესორი

1. ქეთევან ქებულაძე, ქეთევან მორთულაძე – ბათუმის ძველი და თანამედროვე არქიტექტურა.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“, III კურსი.

ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

2. ია ლოლუა, ნათია ჯინჭარაძე – ფორმა, კონცეფცია და კონსტრუქცია არქიტექტურაში.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“, III კურსი.

ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

3. ნაზვულ კონარბაევა – საცხოვრებელი შენობების ინტერიერის დიზაინის განვითარების ისტორია ევროპასა და ყაზახეთში. მსგავსებები და განსხვავებები.

ყაზახეთის ს. სეიფულინის სახელობის აგროტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დიზაინი“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ამანჟოლ ჩიკანაევი, პროფესორი.

4. აიაგულ შალგიმბაევა – მეომრის ქანდაკების რეკონსტრუქცია ყაზახეთში აღმოჩენილ არქეოლოგიურ საკვლევ მასალაზე დაყრდნობით.

ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი. ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფერწერა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ბაკიტბეკ მუხამედჯანოვი, პროფესორი.

**5. თეა კეკელიძე – არქეოლოგიიდან მუზეუმამდე.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“.

ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

**6. ნონა სურმანიძე – „ინფანტების“ სერია ბელჯეკადის მხატვრობაში.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“, II კურსი.

ხელმძღვანელი: რატი ჩიბურდანიძე, პროფესორი.

**7. ზარინა ჟიმაილოვა – ყაზახური ეროვნული სამხატვრო სკოლის უწყვეტობა თანამედროვე სახვით ხელოვნებაში.**

ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი. ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფერწერა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: იაზირა ჟუკენოვა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

## 12.45-14.15 - სესია II

### სექცია: თეატრმცოდნეობა

მოდერატორი: თეიმურაზ კეჭერაძე, პროფესორი

1. **ელენე შალუტაშვილი – თანამედროვე თეატრალური ფორმები, ტენდენციები და რისკები.**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, III კურსი.

ხელმძღვანელი: თამარ ცაგარელი, ასოცირებული პროფესორი.

2. **სოფიკო ნადიბაძე – ციფრული თეატრი საქართველოში.**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა)“, IV კურსი.

ხელმძღვანელი: მაია კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი.

3. **გიორგი ჩანგელია – პოლიტიკური თეატრი.**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, IV კურსი.

ხელმძღვანელი: თამარ ცაგარელი, ასოცირებული პროფესორი.

4. **ლიკა დემეტრაძე – ემილ ზოლა – ფრანგული ნატურალისტური თეატრის ფუძემდებელი.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამსახიობო ხელოვნება“, IV კურსი.

ხელმძღვანელი: თეიმურაზ კეჟერაძე, პროფესორი.

**5. ქანსაია ტურმაგანბეტი – რეჟისურა თანამედროვე ყაზახურ თეატრში და მისი მხატვრული ღირებულებები.**

ყაზახეთის ტ. ჟურგენოვის სახელობის ხელოვნების ეროვნული აკადემია. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, IV კურსი.

ხელმძღვანელი: ანარ ერკეზაი, ასოცირებული პროფესორი.

**6. ემინ ალიევი – ხელოვნური ინტელექტი: როგორ იქცა მსახიობი რობოტად?**

აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი. თეატრალური ხელოვნების ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ელჩინ ჯაფაროვი, ასისტენტ-პროფესორი.

**7. მონშაკ ბეკაიდაროვა – შექსპირი და ყაზახური თეატრი.**

ყაზახეთის ტ. ჟურგენოვის სახელობის ხელოვნების ეროვნული აკადემია. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ანარ ერკეზაი, ასოცირებული პროფესორი.

**8. ოქსანა პოპოვა – ედუარდ მიტნიცკის სარეჟისორო შემოქმედების თავისებურება XX ს-ის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის უკრაინული თეატრალური ხელოვნების კონტექსტში.**

კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი. სასცენო ხელოვნების ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სცენური ხელოვნება“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ტეტიაანა ბოიკო, ასოცირებული პროფესორი.

## 15.00-16.30 - სესია III

### სექცია: კინომცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა, მედია

#### მოდერატორი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი

- 1. ზაზა ცანკაშვილი – მაქს და რობერტ ეგერსების მითოსური მისტერია.**  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (კინომცოდნეობა), IV კურსი.  
ხელმძღვანელი: ლელა ოჩიაური, პროფესორი.
- 2. შალვა კეკელიძე – საქართველოში კინოწარმოების დაფინანსების საკითხისათვის.**  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“, II კურსი.  
ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი.
- 3. ზაირა ბოკუჩავა, ელენე დარასელია – კლაკერები – მუსიკის მტრები თუ მეგობრები.**  
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. მუსიკის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“, II კურსი; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“, IV კურსი.  
ხელმძღვანელი: ხათუნა მანაგაძე, პროფესორი.
- 4. გოჩა ბიძინაშვილი – სოფრონ არქიმანდრიტის სამგალობლო კილო.**  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საეკლესიო მუსიკა“, II კურსი.  
ხელმძღვანელი: თამარ ჩხეიძე, ასოცირებული პროფესორი.



**5. ლიორა კოტლიარი – უკრაინული მიუზიკლი: ხელოვნება და ისტორიული დისკურსი.**

კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი.  
სასცენო ხელოვნების ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო  
პროგრამა „სცენური ხელოვნება“, II კურსი.

ხელმძღვანელი: კატერინა იუდოვა-რომანოვა, ასოცირებული  
პროფესორი.

**6. ანასტასია კალანდაძე – ხელოვნება ქართულ ტელე-ონლაინ მედიაში.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“, III კურსი.

ხელმძღვანელი: ირინა კოშორიძე, ასოცირებული პროფესორი.

**7. სოსო გაზდელიანი – ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქების ეთიკური  
ასპექტები თანამედროვე სატელევიზიო მედიაში.**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიის  
კვლევები და მულტიმედია წარმოება“, I კურსი.

ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი.

# თ ე ზ ი ს ე ბ ი

## ხელოვნებათმცოდნეობა

ქეთევან ქებულაძე

ქეთევან მორთულაძე

### ბათუმის ძველი და თანამედროვე არქიტექტურა

ბათუმის ძველი არქიტექტურა ნათლად წარმოაჩენს ქალაქის საწყის განვითარებას, მის სოციალურ და კულტურულ სახეს. ქალაქის თანამედროვე არქიტექტურა კი სარკვეა იმისა, რომ ბათუმი ცდილობს ფეხი აუწყოს კოსმოპოლიტურ და თანამედროვე ტენდენციებს.

ქალაქ ბათუმის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაზე მრავალმა მოვლენამ იქონია გავლენა. დღეისათვის ბათუმი ერთ-ერთი დიდი ტურისტული ცენტრია. მისი ახლანდელი ფუნქციიდან და მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აქ მრავალი პროექტი განხორციელდა. ბათუმის ურბანული განაშენიანება, ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა მუდმივ ცვლილებას განიცდის. ქალაქის განვითარებას თან ახლავს ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურის ყველა ძირითადი პარამეტრისა და არქიტექტურული იერსახის ცვლილება. ბათუმის ურბანიზაციის განვითარების პრობლემები თავს იჩენს ქალაქის განვითარების ყველა დონეზე – ეკონომიკურ დაყოფაში, სოციალურ სტრუქტურაში, საზოგადოების დამოკიდებულებაში, განსაკუთრებით კი – არქიტექტურაში. ისტორიული და თანამედროვე

ქალაქის შერწყმის ამოცანა, მათი დაახლოება და ჰარმონიული თანაცხოვრება ძალზე რთული და მწვავე საკითხია. დღევანდელი ბათუმი ვითარდება და ქალაქის თანამედროვე იერსახეს ახალი შენობები ქმნის. ნაშრომში წამოჩენილია ისტორიული და „ახალი“ ბათუმის ქალაქთმშენებლობითი განვითარების ძირითადი თავისებურებები, ისტორიულ გარემოში ახალი განაშენიანების ინტეგრაციის, არსებულ ურბანულ ქსოვილთან მისი თანაარსებობის, ურბანული მემკვიდრეობის შენარჩუნების, საბაზრო ეკონომიკურ პირობებში წარმოქმნილი თანამედროვე კონფლიქტების საკითხები.

ია ლოლუა

ნათია ჯინჭარაძე

## ფორმა, კონცეფცია და კონსტრუქცია არქიტექტურაში

ნაგებობის ხარისხი, მხატვრული გამომსახველობა განისაზღვრება არქიტექტურული გადაწყვეტით, რომელიც ვლინდება გარემოსა და შიდა სივრცის კომპონენტების ურთიერთმიმართებაში. ფორმის ინსპირაცია შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი, რასაც ყოველდღიურად ვიყენებთ ან ვხედავთ. ხშირად ფორმას განაპირობებს ის წინაპირობა, რაც განსაზღვრულია პროექტის მოთხოვნებით. კონსტრუქციულ ნაწილს დიდი როლი უჭირავს არქიტექტურაში. მრავალი მაგალითი მოიპოვება იმისა, სადაც ძირითადად კონსტრუქცია განაპირობებს შენობის მხატვრულ სახეს, ფორმას, სტრუქტურას, ნაგებობის ფუნქციურ იერსახეს და

ინდივიდუალურ ხასიათს. ზოგ შემთხვევაში კი კონსტრუქციები, არქიტექტურული ფორმები ნაკლებად აქტიურია და შენობის დიზაინი ძირითადად არქიტექტურული კონცეფციისა და ინდივიდუალური იდენტობის გამოხატვის საშუალებაა. ნაშრომში წარმოდგენილი არქიტექტურული ნიმუშები (საკონცერტო დარბაზი აუდიტორიო-დე-ტენერიფე, ჰეიდარ ალიევის კულტურის ცენტრი, ტოკიოს ოლიმპიური ცენტრი, "La Muralla Roja", ყავის ქარხანა „მეამა“, „BIG-უხილავი მუზეუმი“) ფორმის, კონცეფციისა და კონსტრუქციებისადმი განსხვავებული მიდგომის პრინციპითაა შერჩეული. თითოეული მათგანი საინტერესოა თანამედროვე არქიტექტურის შემოქმედებითი გააზრების თვალსაზრისით.

## **ნაზღულ კონარბაევა**

### **საცხოვრებელი შენობების ინტერიერის დიზაინის განვითარების ისტორია ევროპასა და ყაზახეთში.**

#### **მსგავსებები და განსხვავებები**

საცხოვრებელი სახლების პირველ ტიპებს ადამიანებისთვის წარმოადგენდა ბუნებრივი თავშესაფრები: გამოქვაბულები, ფულუროები, ხის ტოტები, შემდეგ ქოხები, მიწისქვეშა თხრილები და თავიანთი ხელით აშენებული სახლები.

ძველ ეგვიპტეში საცხოვრებელი სახლი აგებული იყო წმინდა ფუნქციური დაყოფებით, სახლს გააჩნდა წინა, საცხოვრებელი და საკუჭნაო ოთახები, მათი მოსახერხებელი მდებარეობა ქმნიდა გარემოს.

ანტიკური საცხოვრებელი სახლის ინტერიერი გამოირჩეოდა კომფორტით და მხატვრული მორთულობებით. ძველი ბერძნული სახლის ინტერიერი განსხვავდებოდა მარტივი და უბრალო კომპოზიციით.

ავეჯის მრავალფეროვნება და დეკორატიული გადაწყვეტა, რაც რენესანსისთვის იყო დამახასიათებელი, მიგვითითებდა სახლის მფლობელის ინდივიდუალიზმსა და მნიშვნელობაზე.

ყაზახეთში იურტები წარმოადგენდა ძირითად საცხოვრებელ სახლს მომთაბარეებისთვის, რომლებიც მესაქონლეობით და ნადირობით ირჩენდნენ თავს. იურტა სწრაფად იდგმებოდა და იშლებოდა, იოლად შეიძლებოდა მისი ტრანსპორტირება აქლემებით და ცხენებით. იურტების ძირითად მორთულობას ხალიჩები წარმოადგენდა. იურტების ხალიჩებით დაფარვა ქმნიდა განსაკუთრებულ სიმყუდროვეს.

**აიაგულ შალგიმბაევა**

## **მეომრის ქანდაკების რეკონსტრუქცია ყაზახეთში აღმოჩენილ არქეოლოგიურ საკვლევ მასალაზე დაყრდნობით**

ცოდნის გზა – ეს არის ბრძოლის გზა სიმაღლისათვის. მაგრამ შეუძლებელია ცხოვრება ჩვენი ისტორიის ცოდნის გარეშე, რადგან ნებისმიერ არაკეთილმოსურნეს ექნება შესაძლებლობა, დაამახინჯოს ჩვენი ისტორია და ცილი დასწამოს ჩვენს წინაპრებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ვიცნობდეთ ჩვენს ფესვებს, რაშიც არქეოლოგია დაგვეხმარება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზეც არქეოლოგია გვპასუხობს, ეხება არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის ადგილს, ტიპს, ცხოვრების სტილს და აქტივობის ტიპებს, არამედ წარმოდგენას გვიქმნის „წარსულის ადამიანზე“. არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიება უკვე ათობით წლებია მიმდინარეობს ყაზახეთის ტერიტორიაზე. შედეგად დაგროვდა უამრავი არქეოლოგიური მასალა, რაც ბევრ კითხვაზე პასუხს იძლევა. მასალები დღითიდღე იმატებს და საჭიროებს სრულ და დეტალურ კვლევა-ანალიზს, რომლის საშუალებითაც შემდგომში მოხდება უძველესი კულტურის მატარებელი მეომრის სკულპტურის აღდგენა.

თეა კეკელიძე

## არქეოლოგიიდან მუზეუმამდე

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, გლობალურმა პანდემიამ წამოჭრა სხვადასხვა საკითხი განათლების სისტემაში. დისტანციურმა სწავლებამ ჩაანაცვალა ცოცხალი საკლასო ურთიერთობები. სწორედ ამიტომ აქტუალური გახდა კითხვა – რამდენად შეუძლია პედაგოგს, გავიდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგზე?!

მოხსენების მთავრი მიზანი გახვლავთ სწორედ ამ საკითხზე დაკვირვება და ანალიზი, ერთი ონლაინ გაკვეთილის მაგალითზე. გაკვეთილის თემაა „არქეოლოგიიდან მუზეუმამდე“, რომელიც ჩატარდა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სარესტავრაციო ლაბორატორიაში. მოხსენებაში განხილულია

გაკვეთილის სხვადასხვა ფაზები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შესაბამის სტანდარტზე გასვლის გზები.

ნონა სურმანიძე

## „ინფანტების“ სერია ბექა ბოლქვაძის მხატვრობაში

XX საუკუნის ქართული ხელოვნება საინტერესო და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებითაა აღსავსე. საუკუნის დასაწყისიდანვე მასში მწვავედ დგებოდა როგორც კონკრეტული მხატვრული, ისე ზოგადი ხასიათის პრობლემები, რომელთაგან ერთ-ერთი ტრადიციისა და ნოვაციის ურთიერთმიმართების საკითხი იყო. ეს ამოცანა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში დღემდე ინარჩუნებს თავის აქტუალურობას.

დღევანდელი ქართული მხატვრობა ისეთივე ჭრელი და მრავალფეროვანია, როგორც მთელს მსოფლიოში. პოლიტიკურმა და პიროვნულმა თავისუფლებამ თავისებური ზეგავლენა იქონია მიმდინარე მხატვრულ პროცესებზე – აკრძალული არაფერია, არც თემა, არც ფორმა და არც ხერხები. დღეს ყველაფერს ნახავთ ტრადიციული მხატვრობიდან დაწყებული, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით დამთავრებული – აქცია, პერფორმანსი, ჰეპ-ნინგი, ვიდეოარტი უცხო აღარ არის თანამედროვე საზოგადოებისათვის; ასეთ ვითარებაში გამოდიან შემოქმედებით ასპარეზზე ახალგაზრდა არტისტები – XXI საუკუნის პირველი ათწლეულების ხელოვანები, რომელთა ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია მხატვარი ბექა ბოლქვაძე.

ბექა ბოლქვაძის მრავალფეროვან შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ინფანტების“ სერიას. მხატვრის შთაგონებას დიდი ესპანელი მხატვრის დიეგო ველასკესის „ინფანტა მარგარიტას“ პორტრეტები და „მენინები“ უდევს საფუძვლად.

ბექა ბოლქვაძის „ინფანტების“ სერიაში ნათლად ვლინდება პოსტ-მოდერნისტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ისეთი ტენდენციები, როგორცაა: მხატვრული მემკვიდრეობის თავისებური გააზრება, ინტერესი თემატური სურათის მიმართ, ავტორი აქტიურად მიმართავს ირონიას, იყენებს გროტესკულ ხერხებს და ა.შ. არსებული სინამდვილე ამ სურათებში მკვეთრად გამოხატული ტრანსფორმირებისა და ინტერპრეტირების საშუალებით გადმოიცემა. „ინფანტების“ ციკლში იკვეთება მხატვარის მისწრაფება, განზოგადებული სახეების შექმნასა თუ სამყაროს სუბიექტური აღქმისაკენ, რაც ავტორის პირადი განცდებისა და იდეების გადმოცემის საწინდარია. ნამუშევრებში იკითხება იდეა, რომელიც თანამედროვე სულიერ თუ ეკოლოგიურ კრიზისს, ზოგადად საფრთხის წინაშე მყოფი საზოგადოების პრობლემებს ეხმიანება.

**ზარინა ჟიმაილოვა**

## **ყაზახური ეროვნული სამხატვრო სკოლის უწყვეტობა თანამედროვე სახვით ხელოვნებაში**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეროვნულ იდენტობაში ერთ-ერთ მთავარ პოზიტიურ ტენდენციად იქცა



ყაზახეთის რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის აღორძინება. აღნიშნული პროცესი ხასიათდება როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერული და ჰუმანიტარული ასპექტებით, ასევე მხატვრული რეინტერპრეტაციით. ეროვნული სახვითი ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობა მიზნად ისახავს შეისწავლოს წარსულისა და აწმყოს მხატვრული ცოდნის სპეციფიურობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ყაზახი ხალხის ჩვეულებების, ისტორიის და ყოფაცხოვრების ასახვა იქცა ყაზახური თანამედროვე მხატვრობის დამახასიათებელ თვისებად, რომელიც გამოხატავს ეროვნულ ისტორიას, სხვადასხვა ისტორიულ მოვლენათა ჯაჭვს, ლეგენდებს გმირებზე და ყაზახეთის სტეპებში მცხოვრებთა ყოველდღიურობას. ეთნიკური და ეროვნული კულტურული მეხსიერების თითქმის საკრალურ შეკავშირებას ჩვენი კულტურა გადაყავს თვითშემეცნების ახალ ეტაპზე, სადაც ხდება ფილოსოფიური, ინტელექტუალური, შემეცნებითი გააზრება, უნივერსალური კულტურის სულიერი შემეცნება.

ყაზახი ხალხის ისტორიის, მათი ჩვეულებების და ცხოვრების სტილის ასახვა განსაკუთრებულს ხდის სახვით ხელოვნებას და გადაყავს თვითშემეცნების ახალ საფეხურზე, განსაზღვრავს რა თანამედროვე ყაზახური მხატვრობისათვის დამახასიათებელ მიმართულებებს: რეალისტურს, სიმბოლურს და კონცეპტუალურს. ყაზახური მხატვრობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახვითი ხელოვნების კანონების შენარჩუნება და მათი როლი მნიშვნელოვანია თანამედროვე მხატვრების ჩამოყალიბებაში.

რეალიზმი, თავის მხრივ, არ არის მხოლოდ სტილისტური მიმართულება, არამედ გულისხმობს რეალურ სამყაროში არსებული ობიექტების ფილოსოფიურ არსს, მიუხედავად ადამიანური აღქმისა, მაშინ როცა კოგნიტური ფუნქცია სიმართლის ამოცნობის და ხელოვნებაში განსხეულების სისტემაშია ჩართული. რეალიზმი – ეს არის ახალი დროის მხატვრული შემეცნების კონკრეტული ფორმა, რომლის წარმოშობა უკავშირდება რენესანსის და განმანათლებლობის ეპოქას, მისი არსი ყალიბდება XIX საუკუნის 30-იან წლებში. რეალიზმი, როგორც კრეატიული მეთოდი, წარმოადგენს გარესამყაროს აღქმის განსაკუთრებულ ტიპს. ეს არის მთლიანი სისტემა, რაც მოიცავს მხატვრული შერჩევის პრინციპებს და განზოგადების მეთოდებს, სინთეზს თუ მოვლენების ანალიზს.

რეალიზმი გულისხმობს სამყაროს ობიექტური რეალობის ასახვას. რეალიზმი არის კაცობრიობის ვიზუალური ხელოვნების მთავარი სტილი. ჩვენ ვცხოვრობთ რეალურ, ხილულ, მატერიალურ სამყაროში, საიდანაც მოდის ყველა ჩვენი ფიქრი და გრძნობა. ხატვის საშუალებით ჩვენ გამოვხატავთ ფიქრებს და გრძნობებს. რეალისტურად რომ ავაგოთ ნახატი, საჭიროა ხანგრძლივი და გულმოდგინე ვარჯიში. გამოსახვის რეალისტური უნარი მთავარი მოთხოვნაა ხელოვანად ჩამოყალიბებისთვის.

# თეატრმცოდნეობა

ელენე შალუტაშვილი

## თანამედროვე თეატრალური ფორმები, ტენდენციები და რისკები

ტექნოლოგიების განვითარებამ თეატრის გამომსახველობითი საშუალებები გაზარდა. ვირტუალურ XXI საუკუნეში, თეატრი „აქ და ახლა“ ყოფნის ყველაზე კარგ სივრცედ იქცა. შედეგად გაიზარდა მისი პასუხისმგებლობა და ფუნქცია საზოგადოებაში. დღესდღეობით არსებული თეატრალური ფორმები უმეტეს წილად ექსპერიმენტული ხასიათისაა. მათ შორის „რევოლუციური“ ხასიათი შეიძლება მიენიჭოს გამომსახველობით თეატრს, რომელიც მეტად ფორმაზე, ანუ რეჟისორის გადაწყვეტილებაზეა ორიენტირებული, ვიდრე პიესის ღრმა ანალიზზე. ეს თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ კარგი ფორმის სპექტაკლი შეუძლებელია ტექსტის ღრმა ანალიზს ეყრდნობოდეს. დღესდღეობით ამისი არა ერთი ცოცხალი მაგალითი არსებობს. „ყველაფერი მარტივი გენიალურია“, როდესაც სიმარტივის მიღმა შემოქმედებითი ძიება დგას. მხოლოდ ფორმით საინტერესო სპექტაკლი მაყურებელს დიდხანს არასდროს მიყვება, ვინაიდან იგი მსჯელობისას არ იძლევა რაიმე ხელჩასაჭიდს. დღესდღეობით აუცილებელია მოიძებნოს ერთგვარი „ოქროს შუალედი“ პიესაზე და სპექტაკლის ფორმაზე მუშაობას შორის.

## ციფრული თეატრი საქართველოში

გლობალური კატასტროფის დროს, როცა ყველაფერი შეიზღუდა და მათ შორის თეატრების მუშაობაც, ახალი გამოწვევების წინაშე დავდექით. თეატრს არ ჰქონდა უფლება განზე გამდგარიყო და ისე ედევნებინა თვალი მიმდინარე პროცესებისთვის. თეატრალები ცდილობდნენ მაყურებელთან ახალი ხერხების საშუალებით კომუნიკაციის დამყარებას. თეატრები გამოვიდნენ დარბაზიდან და სხვადასხვა ადგილების ათვისება დაიწყეს. შენობის გარეთა ფასადები, სასაფლაოები, გოლფის მოედნები, ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიები და ა.შ რეჟისორთა სამოქმედო ასპარეზად იქცა. მოედნებზე გამართული ცოცხალი წარმოდგენები ციფრულ ვერსიებად გადაიქცა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, „ციფრული თეატრალური ფესტივალის“ გამართვა (6-15 ოქტომბერი), სადაც 5 შემოქმედებითი კოლექტივი მონაწილეობდა (დამდგმელი რეჟისორები: საბა ასლამაზიშვილი; კოკო როინიშვილი; სოფიო ქელბაქიანი; გიორგი ჩალამე; დავით ჭაბაშვილი). სპექტაკლები კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორის“ ტერიტორიაზე იმართებოდა და პარალელურად გადაიციემოდა ონლაინ რეჟიმში.

ციფრულმა წარმოდგენებმა ახალი მოთხოვნები გააჩინა (მაგ: ოპერატორი, რომელიც სპექტაკლის ჩვენებისას მთავარ პერსონაჟად იქცა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი გამოსახულების და ხმის ჩაწერის პროცესი).

## პოლიტიკური თეატრი

ხშირად ამბობენ, რომ თეატრს აღარ შესწევს ძალა პოლიტიკურ სივრცეში შევიდეს და საკუთარი ეთიკური თუ ესთეტიკური ნიშნები აწარმოოს, ანუ ის უუნაროა, თუმცა ხშირად პრობლემა არა თეატრის უუნარობა, არამედ თანამედროვე პოლიტიკური სივრცის ესთეტიზაციაა – თუ ძველ დროს პოლიტიკოსს საკუთარი პოლიტიკის წარმოებისთვის სჭირდებოდა ხელოვანის დაქირავება, ახლა, მედია და სოციალური ქსელების ბატონობის ეპოქაში, თავად პოლიტიკოსი ირგებს ხელოვანის როლს, ანუ შედის ესთეტიკურ ველზე – საკუთარი თავის წარმოებისთვის.

მოცემულ დროში კი საინტერესოა არტისტის ტრანსფორმაცია: მისი სხეული ხდება ორი. ერთი, უშუალოდ ნაწარმის მწარმოებელია, ხოლო მეორე – გამყიდველი. ხელოვნების პოლიტიზაციის უნარი კი უფრო და უფრო მცირდება. აქვს თანამედროვე ხელოვნებას უნარი იმისა, რომ იყოს მკაცრად პოლიტიკური, რამდენად მიზანმიმართულად ხორციელდება მისი აქტივობები, სად შეიძლება იყოს გამოსავალი...

## ემილ ზოლა – ფრანგული ნატურალისტური თეატრის ფუძემდებელი

XIX საუკუნეში ფართოდ ვითარდება ე.წ. „მსუბუქი ჟანრების“ დრამატურგია (მელოდრამა და ოპერეტა), პარალელურად იქმნება ანტიბურჟუაზიული დრამა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ემილ ზოლა. ზოლამ თავისი ესთეტიკური იდეები წარმოაჩინა თავის პოლემიკურ სტატიებში, რომანების სერიაში „რუგონ-მაკარები“, რაც დაკავშირებულის მის ნატურალისტურ მიეზებთან. ზოლა ცდილობს გამოიყენოს ეპოქის საბუნისმეტყველო მეცნიერებების მიღწევები, რაც თეატრის დემოკრატიზირების, მისი რეალურ ცხოვრებასთან დაახლოების საფუძველი გახდება. ზოლას მოწოდება იყო ადამიანთა ცხოვრებაში თამამად შეჭრა, ხალხის ცხოვრების ასახვა, სასცენო ხელოვნების შინაარსის გაფართოება, და მისი მხატვრული არსენალის განახლება და ზრდა. თავად ზოლასა და მისი მიმდევრების შემოქმედებაში, ხშირ შემთხვევაში, აღინიშნება ე.წ. „ბიოლოგიზმი“, ობიექტურობა, სწორხაზოვანი დოკუმენტალურობა, რაც სასცენო ხელოვნების და არა მარტო სასცენო ხელოვნების მხატვრულ შესაძლებლობებს ზღუდავდა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოლას შემოქმედებით და თეორიულ მიზეზებში ბევრი რამ მნიშვნელოვანი იყო, რამაც დიდი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის მიწურულის რეალისტური დრამისა და თეატრის მიღწევებზე.

## რეჟისურა თანამედროვე ყაზახურ თეატრში და მისი მხატვრული ღირებულებები

მოხსენების თემაა რეჟისურა თანამედროვე ყაზახურ თეატრში და მისი მხატვრული ღირებულებები. რეჟისორები, რომლებიც არღვევენ დაკანონებულ წესებს და ცდილობენ იპოვონ კლასიკური ნაწარმოებების ახლებური ინტერპრეტაცია, სულ უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე. პიესის დადგმის ახალი გზები, კვლევები თუ ექსპერიმენტები, რომლებსაც მიმართავენ ახალგაზრდა ცნობილი რეჟისორები: დ.ჯუმბაი, ფ.მოლდაგალი, ა.სალბანი, ე.ნურსულთანნი, დ.ბაზარკულოვი და მ.ჰაბიბულინი, წარმოადგენს ყაზახური თეატრალური ხელოვნების პროგრესისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს.

სწორედ ამ სახელებს უკავშირდება ყაზახური თეატრალური სცენის ახალი სახე. ამ ნიჭიერი ადამიანების მიერ დადგმული სპექტაკლები განსაკუთრებით საინტერესოა თავისი იდეებითა და მხატვრული ფუნქციებით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ახალგაზრდა რეჟისორთა უმრავლესობა ცდილობს მსოფლიო და ყაზახური კლასიკის მოდერნიზებას. ამიტომ, ეს პროცესი მიგვაჩნია არა მხოლოდ ყაზახური თეატრის განვითარების პროგრესულ მცდელობად, არამედ მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე თეატრალური ტენდენციების გაგრძელებად.

## ხელოვნური ინტელექტი: როგორ იქცა მსახიობი რობოტად?

ექსპერტები მარტივ პასუხს იძლევიან კითხვაზე – „რა არის ციფრული ხელოვნება?“ ციფრული ხელოვნება – ეს არის ციფრული დროის შექმნა. ამასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი მაგალითი, როგორიცაა: ვიდეონსტალაციები, ელექტრონული მუსიკა – მუსიკაში და ჰიპერტექსტი – ლიტერატურაში. თუ გადავხედავთ ხელოვნების გზას, ციფრული ხელოვნების არსს არაფერი აქვს მასთან საერთო, მსგავსი ტექნოლოგიური ინოვაციები თანდათან დამკვიდრდა ხელოვნებაში. ამ ტერმინის რელევანტურობის მთავარი მიზეზი ბოლო წლებში, ალბათ, ტექნოლოგიების ფართო გავრცელებაა ორი ტიპის კულტურაში – ხელოვნებასა და თეატრში, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ უსაფრთხოებას. ადამიანს ვერ წარმოუდგენია, რა შეიძლება მოუტანოს ახალმა ერამ ბუნებრივი ხელოვნების ამ ორ ტიპს.

ტერმინი „ციფრულობა“ ხასიათდება, როგორც უახლესი ტექნოლოგია. ჩვენ აღვწერთ ციფრულ ეპოქას: აქ და ახლა – ტექნოლოგიების ეპოქა, რომელიც ჩვენს თვალწინაა და აქვს მედიატორის ფუნქცია ჩვენ შორის.



მონშაკ ბეკაიდაროვა

## შექსპირი და ყაზახური თეატრი

მოხსენებაში თეორიულ მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია შექსპირის დრამატურგიის თარგმანის პრობლემატიკა, მისი პიესების დადგმის საკითხები და მხატვრული ღირებულებები თანამედროვე ყაზახურ სცენაზე. ასევე, განხილულია ყაზახურ თეატრალურ ხელოვნებაში არსებული ნათარგმნი მასალები და კვლევები. გამოვლენილია შექსპირის ცნობილი პიესების: „ჭირვეულის მორჯულება“, „ოტელო“, „მეფე ლირი“ – ყაზახურ ენაზე თარგმანების მხატვრული დონე.

ჩვენ შევისწავლეთ რეჟისორების და სცენოგრაფერების თანამედროვე ხედვა აღნიშნულ ნაწარმოებებთან მიმართებაში. განვიხილეთ თანამედროვე ტენდენციები და თანამედროვე თეატრალური ხელოვნების პერსპექტივები ყაზახეთში.

ოქსანა პოპოვა

## ედუარდ მიტნიცკის სარეჟისორო შემოქმედების თავისებურება XX ს-ის დასასრულისა და XXI ს-ის დასაწყისის უკრაინული თეატრალური ხელოვნების კონტექსტში

თანამედროვე უკრაინული თეატრის რეჟისურისათვის დამახასიათებელი თვისებებია ხელოვნებაში ინდივიდუალური ხედვისა და საკუთარი იდეალების გამოხატვა, პირადი და საზოგადოებრივი გამოცდილების, ისტორიისა და თანამედროვეობის,

ტრადიციებისა და ნოვატორობის თანხვედრა. უმეტესწილად, ამითაა განპირობებული კიევის დრამისა და კომედიის თეატრის დამფუძნებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ე. მიტნიცკის კონცეპტუალური რეჟისორული საქმიანობის თავისებურება (1978-2018 წწ.). ე. მიტნიცკიმ შექმნა ახალი ესთეტიკური სისტემა, რომელსაც ახასიათებს აქტუალურობა, დემოკრატიულობა და მწვავე სოციალური მიმართულება უნიკალური ფორმისა და ფსიქოლოგიზმის თანხვედრით.

მოხსენება ეხება ე. მიტნიცკის თეატრალური მოღვაწეობის სპეციფიკის, მისი წარმოსახვითი აზროვნების მასშტაბების, შემოქმედებითი ძიებების თავისებურებებსა და რეჟისორული ხედვის თვითმყოფადობას, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს გავიგოთ და გავიაზროთ უკრაინული თეატრალური რეჟისურის განვითარების ტენდენციები მხატვრული სივრცის ტრანსფორმაციის პროცესებში XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისში, გავანალიზოთ ტრადიციული და ნოვატორული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება სადადგმო ხელოვნებაში.

# კინომცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა, მედია

ზაზა ცანკაშვილი

## მაქს და რობერტ ეგერსების მითოსური მისტერია

2019 წლის ნოემბერში გამოსული ფილმი „შუქურა“, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ბრიტანული კინოკრიტიკისა და კინოჟურნალისტიკის ინტერესის ფარგლებს გარეთ არ გასულა, XX საუკუნის 10-20-იანი წლების გერმანული ჰორორის ვიზუალურ სტილისტიკას სრული სიზუსტით იმეორებს.

რეჟისორი რობერტ ეგერსი სცენარისტ ძმასთან კოლაბორაციაში ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ფსიქოდრამას წარმოგიდგენს, თავისი დამაბული ხმოვანი სტრუქტურითა და კადრის დინამიკით. თუმცა დროდადრო აშკარა ხდება, რომ ყველაფერი არც ისე ჩვეულებრივია და საქმე რეალისტურ ჩარჩოებში შემოჭრილ მისტიკასთან გვაქვს.

რეალურად რას ემსახურება ეს მისტიურობა და რატომ იყენებს რეჟისორი 20-30-იანი წლების ვიდეო ტექნიკას (რომელიც, მისი თქმით ერთ-ერთი საშუალებაა კადრში ატმოსფეროს შესაქმნელად)? საქმე გვაქვს ორი კლასიკური მითიური სიუჟეტის შერწყმასთან. თუმცა მანამდე აღსანიშნავია ისიც, რომ სიუჟეტში პერსონაჟების გარშემო გაცოცხლებულია ბევრი მითი და ლეგენდა, რომელიც უშუალოდ ზღვას, წყლის სიმბოლოს უკავშირდება, როგორცაა მაგალითად სირინოზების მითი, ან ლეგენდა შუქურის მცველზე.

რაც შეეხება უშუალოდ ორ მითიური პერსონაჟის შერწყმას. ეფრემ ვინსლოუ (რობერტ პატინსონი) თავისი ქმედებით, გარდაქმნითა და აღსასრულით პრომეთეს მოგვაგონებს. ის ამარცხებს „ღმერთს“, რომელსაც აქვს სინათლე და საბოლოოდ იპარავს მას, თუმცა ამის გამო ისჯება და კლდეში დატყვევებულს ცოცხლად ჭამენ ფრინველები (ამ შემთხვევაში თოლიები, რასაც კიდევ ერთ ზღვის ლეგენდასთან მივყავართ). თვითონ ღმერთი კი ამ შემთხვევაში პროტეუსია – პოსეიდონის პირველი შვილი, მდინარეებისა და ზღვების ღმერთი, რომელსაც მომავლის განჭვრეტა შეეძლო, ჰქონდა სიბრძნე, თუმცა ვერ იტანდა მის გაზიარებას, მას ჰომეროსმა მოხუცი მეზღვაური უწოდა.

სწორედ ამ ორი მითის „ჩრდილების თამაშს“ (შესაძლოა ბრძოლასაც) გვიჩვენებს ეგერსი თავის რიგით მეორე ფილმში.

**შალვა კეკელიძე**

## **საქართველოში კინოწარმოების დაფინანსების**

### **საკითხისათვის**

მოხსენებაში საუბარია ქართულ კინოწარმოებაში არსებულ დაფინანსების წყაროებზე. აგრეთვე, იმ სახელმწიფო პროგრამებზე, რომელთა მიზანია ქვეყანაში კინოწარმოების მხარდაჭერა და განვითარება.

ქართული კინოს საბიუჯეტო დაფინანსება მიზერულია ევროპის ქვეყნების კინოინდუსტრიის სახელმწიფო დაფინანსების სტანდარტებთან შედარებით. ქართულ კინოინდუსტრიაში

არსებული დღევანდელი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ საჭიროა კინოწარმოების ხელშეწყობა და განვითარება, რაშიც პირველხარისხოვანი როლი სახელმწიფოს ენიჭება. აუცილებელია ეროვნული კინოინდუსტრიისთვის ბიუჯეტის საგრძნობლად გაზრდა, რითაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა გემოვნების და ინტერესების მქონე მაყურებელზე გათვლილი კინოპროდუქციის შექმნა. ეს კი, თავის მხრივ, მოგებას მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას და გაზრდის ახალი ფილმების შექმნის შესაძლებლობას.

აუცილებელია, რომ ქვეყანას ქონდეს ისეთი კულტურული პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება არსებული პრობლემების მოგვარებისა და ქართული კინოინდუსტრიის წინსვლისთვის.

**ზაირა ბოკუჩავა**

**ელენე დარასელია**

## **კლაკერები – მუსიკის მტრები თუ მეგობრები**

XVII საუკუნის ფაქტობრივად მთელ ევროპაში ჩამოყალიბდა პროფესიონალ კლაკერთა ჯგუფი, რომლის მიზანი დაკვეთით წინასწარ შერჩეულ თეატრებში სპექტაკლების ჩავარდნის ან პირიქით – წარმატებისთვის ხელისშეწყობა იყო. კლაკერების საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრების საქმიანობასთან, რადგან მას პირდაპირი გავლენა ჰქონდა თეატრების მოგებაზე, სწორედ ამიტომ იყო იგი ასეთი ყურადსაღები. დროთა განმავლობაში ეს პროფესია დაიკარგა,

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სრულად არ გამქრალა. თანამედროვე კლავი შეიძლება შენიღბული იყოს თეატრალური კრიტიკით, ჟურნალისტიკით, ჟიურით, საზოგადოებით. ფარული გადახდის ფორმები კი შეიძლება მრავალგვარი იყოს.

მოხსენებაში განხილულია კლავერების ჩამოყალიბების და ფუნქციონირების ისტორია.

**გოჩა ბიძინაშვილი**

## **სოფრონ არქიმანდრიტის სამგალობლო კილო**

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართლ-კახეთში არსებობდა სხვადასხვა სამგალობლო სკოლები, რომლებიც წყაროებში კილოს სახელით მოიხსენიება (კილო ბიძინა არქიმანდრიტისა, გერონტი სოლოღაშვილისა, ტარასი არქიმანდრიტისა, სოფრონ არქიმანდრიტისა და სხვა). ამ სკოლის ნიმუშებმა ისტორიული ძნელბედობის გამო ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ამიტომ დღეისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციები წარმოდგენილია მხოლოდ „კარბელაანთ კილოს“ სახით.

უახლესი კვლევებით გამოვლინდა ხელნაწერი კრებული, რომელშიც დაცულია სრული მგალობლის, სოფრონ არქიმანდრიტის აქამდე უცნობი კილოს საგალობლები.

წინამდებარე მოხსენება სწორედ ამ სამგალობლო ტრადიციის განხილვას მიეძღვნება. წარმოდგენილი იქნება, თუ სად და რა ისტორიულ ვითარებაში ჩამოყალიბდა სოფრონ არქიმანდრიტის კილო, როგორ და ვის მიერ მოხდა მისი ნოტებზე ჩაწერა და რა

მუსიკალური მახასიათებლები განასხვავებს მას ჩვენთვის ცნობილი სხვა სამგალობლო კილოებისგან.

ლიორა კოტლიარი

## უკრაინული მიუზიკლი: ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობითი დისკურსი

მასობრივი კულტურის ტენდენციების თანახმად, მიუზიკლი – გარდაქმნის რა თეატრალური, მუსიკალური, საცირკო და კინოხელოვნების რთულ სინთეზს, ილუზიონისტების, ვიდეორუკების ტექნიკას და თანამედროვე სცენოგრაფიის სხვა მიღწევებს, – მუდმივ კავშირშია მასობრივი კულტურის გამოვლინებებთან. მიუხედავად იმისა, რომ მიუზიკლი ამერიკულ და დასავლეთევროპულ ხელოვნებათმცოდნეობით კვლევებში მიიჩნევა მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან ჟანრად, რომელსაც გააჩნია მყარი ტრადიციები და განვითარების კომერციული შესაძლებლობები, – უკრაინული სოციოკულტურული სივრცის სპეციფიკურ პირობებში აღნიშნული ჟანრი შედარებით ახალია.

XX საუკუნის დასასრულის უკრაინელი კომპოზიტორების ნაწარმოებების წარმატებული სცენური ნამუშევრები: მიუზიკლები „კონოტოპელი ჯადოქარი“ (1982), „სიყვარული, ჯაზი და ეშმაკი“ (1982), „რომეო და ჯულიეტა“ (2003), „ეკვატორი“ (2003), „ბერი“ (2004), „კენტერვილელი მოჩვენება“ (2004), „ედიტ პიაფი. სიცოცხლე კრედიტით“ (2008), „ფემინიზმი უკრაინულად“ (2008), „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი უკრაინაში“ (2010), „ლურჯი

წვერი“ (2010), „გლორია“ (2010), „ვერონა. სიყვარულის მძევლები“ (2010), „Welcome to Ukraine ან მოგზაურობა სიყვარულში“ (2011), „კონოტოპელი ჯადოქარი“ (2018), „გუცული ქსენია“ (2018) და ა.შ. – უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი, რომელიც ასახავს მაყურებლის მოთხოვნას შესაბამისი მიმართულების ეროვნული მხატვრული პროდუქტის მიმართ. აქედან გამომდინარე, კვლევა ეხება უკრაინული მიუზიკლის ეროვნული თვითმყოფადობის გამოვლენას და ანალიზს.

ანასტასია კალანდაძე

## ხელოვნება ქართულ ტელე-ონლაინ მედიაში

ხელოვნების სფეროს გაშუქება ქართულ მედია სივრცეში – როდესაც ამ თემას ვეხებით, ჩვენს პირისპირ თანამედროვე ქართული რეალობის მნიშვნელოვანი, აქტუალური პრობლემა იხატება.

დღეისათვის პოპულარული ქართული მაუწყებლები კულტურის საკითხებს ყურადღებას დიდად არ აქცევენ. „რუსთავი 2-ის“, „იმედის“ სამაუწყებლო ბადეზე ზედაპირული დაკვირვებაც მოწმობს ამ სამწუხარო ტენდენციას. საზოგადოებრივი არხი რამოდენიმე გადაცემას უთმობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს. უნდა აღინიშნოს აჭარის ტელევიზიის პროგრამული ბადე, რომელიც ყველაზე მდიდარია კულტურის თემატიკის გადაცემებით.

საქართველოში არსებობს კულტურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილი საკაბელო არხიც – „არტარეა“.



ქართულ მედიაში სინთეზური ხელოვნების (კინო, თეატრი, ბალეტი) გაშუქების გვერდით ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს მუზეუმები, მედიისგან მათაც ნაკლები ყურადღება ექცევა.

ტელევიზიებისათვის ღრმა ანალიზი, კრიტიკა, მეტწილად, არ არის დამახასიათებელი. ონლაინ მედიაშიც შეიმჩნევა ანალიზური მასალების ნაკლებობა, იშვიათად გვხვდება კრიტიკული აზრი და კულტურული ცხოვრების პროფესიონალური შეფასება. ქართული ხელოვნებისა და მედიის „თანამშრომლობის“ პრობლემის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, ასევე, სფეროში პროფესიონალთა სიმცირე შეიძლება დასახელდეს.

სოსო გაზდელიანი

## ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქების

### ეთიკური ასპექტები თანამედროვე

### სატელევიზიო მედიაში

ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ისიცაა, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობას. ჩამოყალიბების პროცესში მყოფ არასრულწლოვნებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა, ამდენად, მათთვის ზიანის მიყენება მარტივია. ამ ასაკში მიღებულმა ნეგატიურმა ემოციებმა და ტრავმებმა კი, შესაძლოა, მთელ მათ ცხოვრებაზე იქონიოს გავლენა.

ბავშვთა სოციალიზაციის საკითხში მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, რაც

არასრულწლოვანთა ცხოვრებაში იჩენს თავს, ერთ-ერთი გამორჩეულად მტკივნეული მედიაში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების არასათანადო გაშუქებაა. მედიამ უნდა დაიცვას ბავშვის ინტერესები. წინამდებარე კვლევის მიზანია, გავარკვიოთ:

- ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქებისას, იცავს თუ არა თანამედროვე ქართული სატელევიზიო მედია პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს;

- რა ძირითადი ტენდენციები და ხარვეზები იკვეთება არასრულწლოვანთა თემაზე მუშაობისას.

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების ობიექტურად წარმოჩენა თანამედროვე ჟურნალისტიკისთვის ერთ-ერთი არსებითი ამოცანაა. სწორედ ეს ზეექტუალური საგანი შევარჩიეთ საკვლევად.

# **International Student Conference**

## **Program**

## **Conference Organising Committee**

<b>Maia Tchitchileishvili</b>	Rector of Batumi Art State University, Professor, Chairman of Organising Committee
<b>Gela Beridze</b>	Deputy Head of Administration of Batumi Art State University
<b>Sopio Tavadze</b>	Head of Scientific and Publishing Department of Batumi Art State University, Associate Professor
<b>Salome Chikashua</b>	Specialist of Scientific and Publishing Department of Batumi Art State University
<b>Akaki Mukhashavria</b>	IT Manager

# Conference Schedule

**November 20**

- 10.45-11.00 – Registration, Conference Opening
- 11.00-12.30 – Sessional Meeting I
- 12.30-12.45 – Break
- 12.45-14.15 – Sessional Meeting II
- 14.15-15.00 – Break
- 15.00-16.30 – Sessional Meeting III
- 16.30-17.00 – Conference Summing up and Closing

## **Time Limit**

**Presentations - 15 minutes**

**Discussions - 5 minutes**

Georgia, Batumi, № 19/32 Zurab Gorgiladze/Vazha-Pshavela Street  
[www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)  
[info@batu.edu.ge](mailto:info@batu.edu.ge)

## **11.00-12.30 – Sessional Meeting I**

### **Section: Art Criticism**

**Moderator: Rati Chiburdanidze, Professor**

**1. Ketevan Kebuladze, Ketevan Mortuladze – Old and Contemporary Architecture of Batumi.**

Batumi Art State University. Faculty of Visual, Stage and Film-TV Arts.

3<sup>rd</sup> year of Bachelor's Degree Program in Architecture.

Scientific supervisor: Maia Tchitchileishvili, Professor.

**2. Ia Lolua, Natia Jincharadze – Form, Conception and Construction in Architecture.**

Batumi Art State University. Faculty of Visual, Stage and Film-TV Arts.

3<sup>rd</sup> year of Bachelor's Degree Program in Architecture.

Scientific supervisor: Maia Tchitchileishvili, Professor.

**3. Nazgul Konarbayeva – The History of the Development of Interior Design of Residential Buildings in Europe and Kazakhstan. Similarities and Differences.**

